ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 291

"13" სექტემბერი 2016 წ.

ქ.თბილისი

ქალაქ თბილისში, ფალიაშვილის ქუჩა №33ა-ს მიმდებარედ არსებული 21 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ N01.14.11.016.043) პირდაპირი განკარგვის წესით შპს გურმანოსთვის (ს/კ 405095043) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, ფალიაშვილის ქუჩა №33ა-ს მიმდებარედ არსებული 21 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.11.016.043) პირდაპირი განკარგვის წესით შპს გურმანოსთვის (ს/კ: 405095043) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 31 აგვისტოს №34.06.735 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონება: ქალაქ თბილისში, ფალიაშვილის ქუჩა №33ა-ს მიმდებარედ არსებული 21 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.11.016.043) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გურმანოსთვის" (ს/კ: 405095043) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 3000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით.

3. იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვროს 5 წლით.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი